ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5841434

ნომერი: AR1864066

თარიღი : 17.02.2022

გაცემის თარიღი : 10.03.2022

გაცნობის თარიღი : 10.03.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 62ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 15 იანვრის №AR1864066 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 07 თებერვლის №5793401 ბრძანებით, 2022 წლის 24 თებერვლის №5820904, 2022 წლის 04 მარტის №5831849, 2022 წლის 07 მარტის №5837649 და 2022 წლის 09 მარტის №5839451 გადაწყვეტილებებით დაგიდგინდათ ხარვეზები და დაგევალათ დაგეზუსტებინათ მოთხოვნა და წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია, კერძოდ, კიდევ ერთხელ უნდა გადაგემოწმებინათ მაჩვენებლების ცხრილში არსებული და გეგმებზე დატანილი ფართობების შესაბამისობა და აღნიშნულის გათვალისწინებით დაგეზუსტებინათ მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო, კომერციულ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, უნდა წარმოგედგინათ სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე) შესწორებული ფართობების დატანით.
განმეორებით წარმოდგენილ განცხადებაში კვლავ გამოვლინდა, ხარვეზები, კერძოდ: კვლავ არ ემთხვევა გეგმებზე დატანილი საცხოვრებელი და კომერციული ფართობების ჯამური მაჩვენებლები მოთხოვნის ტექსტში მითითებულს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და სამსახურის მიერ არაერთხელ მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2022 წლის 15 იანვრის №AR1864066 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.